

დამტკიცებულია: -----

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის
2014 წლის 05 ნოემბრის
79 ბრძანებით

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2014–2020 წწ.)

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული განვითარების მიმართულებები და მიზნები

სტრატეგიული განვითარების გეგმა საზოგადოებრივ კოლეჯში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება, რაც ქართული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით მომავალი თაობების აღზრდაში გამოიხატება. მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით იქნება გარანტი ევროპულ განათლების ერთიან სივრცეში კოლეჯის ინტეგრაციისა. სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია იმ მიზნით, რომ კოლეჯმა შეძლოს თავისი მისიის განხორციელება ბაზრის მზარდი მოთხოვნილებების ფონზე. აგრეთვე სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ და კონკურენტუნარიან სპეციალისტად,

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მაღალი პოტენციალის მქონე სტუდენტების მოზიდვა, სწავლების დონის ამაღლება და სტუდენტებს შორის კონკურენტუნარიანობის განვითარება, უცხო ენის ცოდნის დონის გაღრმავება.

მენეჯმენტის გაუმჯობესება

კოლეჯის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კომპიუტერული კლასით და ინტერნეტით სარგებლობა, სწავლების დროს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

უნდა გაუმჯობესდეს ფინანსური და ბუღალტრული სისტემების მუშაობა. ასევე მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვა, ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება, პერსონალის პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობა.

ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა

უპირველესი ამოცანაა, სასწავლო კორპუსში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ელექტრონული ბიბლიოთეკის შევსება და სრულყოფა, რაც უპირობოდ უნდა განხორციელდეს თანამედროვე წიგნადი ფონდის ჩამოყალიბების ფონზე.

კოლეჯში გასატარებელი ღონისძიებები

- საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა, რაც გამოიხატება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებით, საგანმანათლებლო პროგრამების განახლებით.
- სწავლების პროცესის ხელშეწყობა, სტუდენტთა შეფასების სისტემის დახვეწა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.
- სწავლების ყველა საფეხურზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესება, სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის შექმნა ისეთი ზოგადი კომპეტენციების ასათვისებლად, როგორცაა უცხოური ენის ცოდნა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა.
- მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის საინტერესო პროფესიული პროგრამების შეთავაზება, სტიპენდიების, დახმარებების, შეთავაზების მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც იძლევა ნებისმიერი სოციალური ფენიდან სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობას.
- დამსაქმებელთან აქტიური და მუდმივი თანამშრომლობა და მათი უშუალოდ ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დახვეწასა და სრულყოფაში.
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება,
- საბიბლიოთეკო რესურსების განახლება, მონაცემთა ბაზების შექმნა.
- მიმდინარე და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში მონაწილეობა.
- მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა.
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და განხორციელება მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინებით.
- კოლეჯის პერსონალის, სტუდენტების სოციალურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.
- კოლეჯის პერსონალისათვის უსაფრთხო, მოხერხებული და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნა.
- სასწავლო და საოფისე ინვენტარის განახლება.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური ჩართვა კოლეჯის საქმიანობასა და მართვაში. საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზება. (გაზეთი, ჟურნალი)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალების გამოცემა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით.
- ბიბლიოთეკის ფონდის განახლება და შევსება.
- თანამშრომლობა სხვა სასწავლო დაწესებულებებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.
- ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა.